საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1536 2017 წლის 24 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და „Anadolu Tasıt Ticaret A.S.“-ს შორის 2015 წლის 29 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე

1. ცნობად იქნეს მიღებული ინფორმაცია „Anadolu Kafkasya Enerji Yatirimlari A.S.“-ის მიერ შპს „ხელედულა ენერჯის“ პარტნიორის, „Anadolu Tasıt Ticaret A.S.“-ის ჩანაცვლების თაობაზე.

2. საქართველოს მთავრობას, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულ ოპერატორს“, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“, შპს „ენერგოტრანსს“, სს „გაერთიანებულ ენერგეტიკულ სისტემა საქრუსენერგოსა“ და „Anadolu Tasıt Ticaret A.S.“-ს შორის 2015 წლის 29 მაისს დადებული ურთიერთგაგების მემორანდუმის 38-ე მუხლის შესაბამისად, „Anadolu Tasıt Ticaret A.S.“-ს მიეცეს თანხმობა შპს „ხელედულა

ენერჯის“ პარტნიორის ცვლილების („Anadolu Kafkasya Enerji Yatirimlari A.S.“-სთან შერწყმის) თაობაზე.

3. ამ განკარგულების მე-2 პუნქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრომ უზრუნველყოს შპს „ხელედულა ენერჯისთვის“ შესაბამისი შეტყობინების გაგზავნა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**